

სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის
ფილიალი

ფინანსური ანგარიშგება
2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
მოგების ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	7
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	8
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე	9
3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	12
4 წმინდა საპროცენტო შემოსავალი	21
5 სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები.....	22
6 დაბეგვრა	22
7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	24
8 გაცემული სესხები.....	24
9 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	29
10 ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	31
11 მომხმარებლების დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები.....	31
12 სესხები	31
13 რისკების მართვა	32
14 კაპიტალის მართვა.....	43
15 გაუთვალისწინებელი გარემოებები.....	43
16 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	44
17 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულება და სააღრიცხვო კლასიფიკაციები	46

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალის (შემდგომში - „ფილიალი“) წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს ამ თარიღით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით, რომელიც წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი

აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მთლიანად შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ფილიალის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სხვა საკითხი

ფილიალის ფინანსური ანგარიშგების 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2012 წლის 13 ივლისიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის აუდიტი განახორციელეს სხვა აუდიტორებმა, რომელთა 2013 წლის 17 აპრილის დასკვნის თანახმად გამოტანილი იყო უპირობო მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების თაობაზე.

*სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი
მოგება ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის*

ლარი	შენიშვნა	2013	2012 წლის 13 ივლისიდან (რეგისტრაცია) 31 დეკემბრამდე
საპროცენტო შემოსავალი	4	1,404,297	231,355
საპროცენტო ხარჯი	4	(268,545)	(1,194)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,135,752	230,161
მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი		198,664	15,576
მოსაკრებელი და საკომისიო ხარჯი		(4,505)	(314)
წმინდა მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი		194,159	15,262
გაცვლითი კურსით გამოწვეული წმინდა შემოსავალი (ზარალი)		83,661	(304)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		10,539	6
საოპერაციო შემოსავალი		1,424,111	245,125
გაუფასურების ზარალი	8	(336,876)	-
სახელფასო ხარჯები		(754,909)	(223,097)
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	5	(692,057)	(470,724)
მოგება დაბეგვრამდე		(359,731)	(448,696)
მოგების გადასახადის სარგებელი	6	54,036	57,737
ზარალი და სრული ზარალი საანგარიშგებო პერიოდისთვის		(305,695)	(390,959)

5-57 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2014 წლის 3 აპრილს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ბარიშ სარიბრაჰიმ
მენეჯერი

გიორგი ხუბუნია
მთავარი ბუღალტერი

სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნები	2013	2012
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	12,617,662	13,910,729
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში		601,368	61,056
გაცემული სესხები	8	16,546,568	-
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	9	1,011,221	568,672
გადავადებული საგადასახადო აქტივი	6	111,773	57,737
სხვა აქტივები		3,798	15,400
სულ აქტივები		30,892,390	14,613,594
ვალდებულებები			
ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	10	1,838,266	357,746
მომხმარებლების დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები	11	3,473,809	960,494
სესხები	12	13,409,444	693,525
სხვა ვალდებულებები		10,373	164,745
სულ ვალდებულებები		18,731,892	2,176,510
კაპიტალი			
სავალდებულო რეზერვი	13	12,857,152	12,828,043
დაგროვილი ზარალი		(696,654)	(390,959)
სულ კაპიტალი		12,160,498	12,437,084
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		30,892,390	14,613,594

*სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის*

ლარი	შენიშვნა	2013	2012 წლის 13 ივლისიდან (რეგისტრაცია) 31 დეკემბრამდე
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(359,731)	(448,696)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		123,691	42,619
საპროცენტო შემოსავალი		(1,404,297)	(231,355)
საპროცენტო ხარჯი		268,545	1,194
ზარალი გაუფასურებისგან		336,876	-
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება (ზარალი)		(83,661)	304
		(1,118,577)	(635,934)
<i>ცვლილებები:</i>			
სავალდებულო რეზერვების ზრდა საქართველოს ეროვნულ ბანკში		(518,484)	(61,265)
გაცემული სესხების ზრდა		(16,002,522)	-
სხვა აქტივების შემცირება (ზრდა)		11,602	(15,400)
ბანკების დეპოზიტებისა და ბალანსების ზრდა		1,424,755	357,746
მომხმარებლების დეპოზიტებისა და მიმდინარე ანგარიშების ზრდა		2,361,342	961,894
სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		(154,372)	164,745
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) ფულადი სახსრები		(13,996,256)	771,786
მიღებული პროცენტები		1,395,007	230,498
გადახდილი პროცენტები		(256,337)	-
ოპერაციებიდან მიღებული (გამოყენებული) ფულადი სახსრები		(12,857,586)	1,002,284
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(566,240)	(611,292)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(566,240)	(611,292)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსავალი კრედიტებიდან და სესხებიდან		14,092,150	693,525
სესხების დაფარვისთვის გაწეული ფულადი სახსრები		(2,002,765)	-
სავალდებულო კაპიტალის გაზრდის მიზნით მიღებული სახსრები		29,109	12,828,043
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		12,118,494	13,521,568
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(1,305,332)	13,912,560
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		12,265	(1,831)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		13,910,729	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	7	12,617,662	13,910,729

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

*სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის*

ლარი	სავალდებულო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2012 წლის 13 ივლისის მდგომარეობით (რეგისტრაცია)	-	-	-
პერიოდის ზარალი და სრული ზარალი	-	(390,959)	(390,959)
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებელთან			
სავალდებულო კაპიტალის ზრდა	12,828,043	-	12,828,043
სრული ოპერაციები დამფუძნებელთან	12,828,043	-	12,828,043
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,828,043	(390,959)	12,437,084
ნაშთი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	12,828,043	(390,959)	12,437,084
ზარალი და სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	(305,695)	(305,695)
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებელთან			
სავალდებულო კაპიტალის ზრდა	29,109	-	29,109
სულ ოპერაციები დამფუძნებელთან	29,109	-	29,109
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,857,152	(696,654)	12,160,498

კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს.

1 ზოგადი ინფორმაცია

(a) ორგანიზაცია და საქმიანობა

სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი (შემდგომში „ფილიალი“) დარეგისტრირებულია 2012 წლის 13 ივლისს როგორც უცხოური ბანკის ფილიალი. მთავარი საქმიანობაა ანაბრების მიღება და კლიენტების ანგარიშების მომსახურება, სესხების გაცემა, ფულადი სახსრებისა და ანგარიშსწორების ოპერაციები და ოპერაციები უცხოურ ვალუტაში. ფილიალს გააჩნია საბანკო ლიცენზია და მისი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ფილიალის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს საქართველოში, ქალაქ ბათუმში, ლ.ასათიანი/რუსთაველის ქუჩაზე 1/25.

ფილიალს გააჩნია ერთი სერვის ცენტრი.

ფილიალის დაფინანსება უმეტესწილად ხორციელდება სს თურქეთის იმ ბანკის მიერ (შემდგომში „ბანკი“). აქედან გამომდინარე ფილიალი ეკონომიკური თვალსაზრისით ბანკზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ფილიალის საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბანკის მოთხოვნებთან.

ფილიალის საბოლოო მაკონტროლებელი არის იმ ბანკის **წევრთა დამატებითი საპენსიო ფონდი**. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები დაფიქსირებულია მე-16 შენიშვნაში.

(b) ბიზნეს გარემო

ფილიალის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ფილიალი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებად ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ განიცდიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2 მომზადების საფუძველი

(a) ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

(b) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

(c) ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის ფილიალის ფუნქციური ვალუტა; ის ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის კომპანია წარსადგენ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

(d) დაშვებების და შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ხელმძღვანელობისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და ვარაუდების გაკეთებას აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფაქტობრივი შედეგები შესაძლებელია განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

დაშვებები და შეფასებები გადაიხედება პერიოდულად. გადახედილი დაშვებების აღიარება ხდება გადახედვის პერიოდსა და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია შეფასებების არასარწმუნოების და სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს არსებული მნიშვნელოვანი დაშვებების შესახებ აღწერილია მე-7 შენიშვნაში - სესხის გაუფასურების შეფასება.

ინფორმაცია დაშვებებისა და შეფასებების არასარწმუნოების შესახებ, რაც დაკავშირებულია არსებით რისკთან, რის შედეგადაც შესაძლოა მოხდეს მნიშვნელოვანი კორექტირება შემდეგი ფინანსური წლის განმავლობაში მოცემულია მე-6 შენიშვნაში - გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება: მომავალი დასაბეგრი მოგების არსებობა და საგადასახადო ზარალის მომავალში გადატანის გამოყენების შესაძლებლობა.

(e) ცვლილებები საღრცხვო პოლიტიკაში და მის წარდგენაში

ფილიალმა მიიღო ახალი სტანდარტები და სტანდარტებში შეტანილი ცვლილებები, მათ შორის ნებისმიერი მომდევნო ცვლილებები სხვა სტანდარტებში, პირველადი გამოყენების 2013 წლის 1 იანვრის თარიღით:

- ფასს 13 რეალური ღირებულებით აღრიცხვა (იხილეთ (i))

განმარტება ცვლილებებისა და მათი მოქმედების შესახებ მოცემულია ქვემოთ.

(i) რეალური ღირებულებით აღრიცხვა

ფასს 13 ადგენს ერთიან ბაზას რეალური ღირებულების აღრიცხვისთვისა და რეალური ღირებულების აღრიცხვის შედგენის პროცესზე ინფორმაციის წარმოდგენისათვის, როდესაც მსგავს აღრიცხვას ითხოვენ ან უშვებენ სხვა ფასს-ები. კერძოდ, ფასს 13 ახდენს რეალური ღირებულების განმარტების უნიფიცირებას, როგორც საფასურს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში ბაზრის მონაწილეებს შორის აღრიცხვის თარიღისას. ფასს 13 ასევე ცვლის და აფართოებს მოთხოვნას რეალური ღირებულების აღრიცხვის პროცესის გამჟღავნებაზე სხვა ფასს-ების შესაბამისად, მათ შორის ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები (იხ. შენიშვნა 17).

ამის შედეგად, ფილიალმა მიიღო რეალური ღირებულების ახალი განმარტება, როგორც ეს აღნიშნულია მე-3 შენიშვნაში (c)(v). ცვლილებას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვაზე. თუმცა, ფილიალმა წარადგინა ახალი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 13-ის მოთხოვნების შესაბამისად. განმარტებების ახალი მოთხოვნები არ არის მოცემული შედარებით ინფორმაციაში. თუმცა, იმის მიხედვით თუ როგორ ითხოვდნენ ამას სხვა სტანდარტები ფასს 13-ის ძალაში შესვლამდე, ფილიალმა უზრუნველყო შესაბამისი შედარებითი განმარტებების წარმოდგენა იმ სტანდარტების შესაბამისად.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ.

(a) უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ფილიალის შესაბამის ვალუტაში ოპერაციის შესაბამისი თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ფუნქციურ ვალუტაში კონვერტაცია ხორციელდება ამ თარიღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება/ზარალი არის სხვაობა ამორტიზირებულ ღირებულებას, ფუნქციურ ვალუტაში პერიოდის დასაწყისში, რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური პროცენტის და გადახდების გათვალისწინებით პერიოდის განმავლობაში, და ამორტიზირებულ ღირებულებას შორის უცხოურ ვალუტაში, დაკონვერტირებულს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით აღრიცხული არა-ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ფუნქციურ ვალუტაში კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების მომენტისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისას. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით დაფიქსირებული არა-ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ფუნქციურ ვალუტაში კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების მომენტისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით.

ვალუტის გაცვლით გამოწვეული სხვაობა აისახება მოგება ან ზარალში.

(b) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან, და საქართველოს ეროვნულ ბანკში და სხვა ბანკებში არსებული შეუზღუდავი ბალანსებისგან (ნოსტრო ანგარიშები). სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში არ ითვლება ფულადი სახსრების ეკვივალენტად, ვინაიდან არსებობს შეზღუდვები მის გამოყენებასთან დაკავშირებით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(c) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) კლასიფიკაცია

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კვოტირებული აქტიურ ბაზარზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფილიალი:

- მიზნად ისახავს გაყიდოს უახლოეს მომავალში

- თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს მას, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივის მოგება ან ზარალში ასახვით
- თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს მას, როგორც გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივს
- შეიძლება ვერ ნახოს მნიშვნელოვანი ამონაგები საკუთარი ინვესტიციისგან, საკრედიტო გართულებების გარდა არსებული მიზეზით.

ფილიალი ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში, რომელიც შედგება კლიენტებისთვის გაცემული სესხებისგან, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან და საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სავალდებულო რეზერვისგან.

ფილიალი ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავენ სესხებს, ბანკების დეპოზიტებსა და ბალანსებს, მომხმარებლების დეპოზიტებსა და მიმდინარე ანგარიშებს და სხვა დავალიანებებს.

(ii) აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც ფილიალი გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე. ფინანსური აქტივების შეძენის სტანდარტული შემთხვევები აღირიცხება ანგარიშსწორების წარმოების თარიღისთვის.

(iii) შეფასება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხორციელდება რეალური ღირებულებით, დამატებული ტრანზაქციის ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავენ სესხებს და მოთხოვნებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყველა ფინანსური ვალდებულება აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(iv) ამორტიზირებული ღირებულება

ამორტიზირებული ღირებულების დათვლა წარმოებს ფინანსური აქტივების და ვალდებულების თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული ძირითადი გადახდები, დამატებული ან გამოკლებული ერთობლივი ამორტიზაცია, გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს სხვაობას თავდაპირველ აღიარებულ თანხასა და ვადის ბოლოს არსებულ თანხას შორის, შემცირებული გაუფასურების თანხით. პრემიუმები და დისკონტები, თავდაპირველი საოპერაციო ხარჯების ჩათვლით, ჩართულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ამ ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

(v) რეალური ღირებულების შეფასების პრინციპები

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ვალდებულების რეალური ღირებულება ასახავს არშესრულების რისკს.

ფილიალი ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს მოცემულ ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კვოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი არ არის, ფილიალი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდის გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს საბაზრო რესურსებს, მინიმალურად ეყრდნობა ჯგუფისთვის დამახასიათებელ გაანგარიშებებს, ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულება. თუ ფილიალი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან, და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტურ აქტივზე ან ვალდებულებაზე აქტიურ ბაზარზე არსებული კვოტირებული ფასით, ასევე ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი შეფასების მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობით. ამ ფასსა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა შემდეგ სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში ინსტრუმენტის საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად დასრულდება დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებით ან გარიგება დაიხურება.

(vi) მოგება ან ზარალი შემდგომი შეფასებისას

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, შემოსავალი ან ხარჯი მოგება-ზარალში აღიარდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების გაუქმებისას ან გაუფასურებისას, და ამორტიზაციის პროცესში.

(vii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა ფილიალი გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა ფილიალი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს და არ აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს.

ფილიალი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება, ან იწურება.

ფილიალი ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომლის გადახდა უიმედოდაა მიჩნეული.

(viii) გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა, წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(d) ძირითადი საშუალებები

(i) საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

თუ ძირითადი საშუალება ისეთი მსხვილი კომპონენტებისაგან შედგება, რომელთაც სხვადასხვა სასარგებლო მოხმარების ვადა აქვთ, კომპონენტების ასახვა ხდება ცალ-ცალკე.

(ii) ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან. ძირითადი საშუალებებისთვის ჯგუფს განსაზღვრული აქვს შემდეგი მომსახურების ვადები:

- იჯარით აღებული ქონების მოწყობა 5 წელი
- კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობები 5 წელი
- საოფისე ავეჯი და ინვენტარი 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი

იჯარით აღებული ქონების მოწყობის ამორტიზაცია იჯარის და მომსახურების პერიოდთან უმოკლესში ხდება.

ცვეთის მეთოდები, მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ანგარიშგების თარიღისას და კორექტირდება საჭიროების მიხედვით.

(e) არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, ამორტიზაციისა და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. შესყიდული კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება იმ დანახარჯების საფუძველზე, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ამ აქტივის შეძენასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. მომსახურების შეფასებული ვადები 6-დან 7 წლამდე შეადგენს.

(f) გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფილიალი აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურდა. თუ არსებობს ასეთი მტკიცებულება, ფილიალი განსაზღვრავს გაუფასურებისაგან მიღებული ზარალის თანხას.

ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება და გაუფასურების ზარალი წარმოიქმნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს იმ გაუფასურების საიმედო მტკიცებულება, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე იმ მოვლენით, რომელიც/რომლებიც მოხდა სესხის ან მოთხოვნების თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ამგვარმა მოვლენამ (ან მოვლენებმა) ზეგავლენა იქონია სესხის მომავალი პერიოდის სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რომლის სარწმუნოდ გაანგარიშებაც შესაძლებელია.

ობიექტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურდა, მოიცავს მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობას ან სესხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებისა თუ პირობის დარღვევის შემთხვევას, სესხის რესტრუქტურისა ან ავანსის გაცემას ისეთი პირობებით, რომლებსაც ფილიალი სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა, ნიშნებს იმის თაობაზე, რომ მსესხებელი ან თავმდები გაკოტრდა, ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობას, უზრუნველყოფის გაუფასურებას ან აქტივების ჯგუფთან დაკავშირებულ სხვა შესამჩნევ მონაცემებს, მაგალითად, ჯგუფში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფით ცვლილებებს, ან ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალი მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

(i) ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შედგება სესხებისაგან და სხვა მოთხოვნებისგან. კომპანია რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებს და მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით.

ფილიალი უპირველესად აფასებს იმას, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად სესხებისა და მოთხოვნებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია და არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად და კოლექტიურად სესხებისა და მოთხოვნებისათვის, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი. თუ ფილიალი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული სესხების ან მოთხოვნების (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიას სესხი შეაქვს მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე სესხებსა და მოთხოვნებში და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების კუთხით და რომელთათვისაც გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება და გრძელდება გაუფასურების ერთობლივი შეფასებისას, მხედველობაში არ მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სესხთან ან მოთხოვნასთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის დადგომის ობიექტური მტკიცებულება, ამ ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა სესხის ან მოთხოვნის საბალანსო ღირებულებასა და სესხის ან მოთხოვნის დისკონტირებული მომავალი სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მათ შორის თავდაპირველი გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებადი მომავალი ფულადი ნაკადების), რომელიც დისკონტირებულია სესხის ან მოთხოვნის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და მიმდინარე ეკონომიკური პირობების ამსახველი შესაბამისი შესამჩნევი მონაცემების საფუძველზე დაკორექტირებული ისტორიული ზარალი.

ზოგ შემთხვევაში, სესხზე ან მოთხოვნაზე დამდგარი გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრისთვის აუცილებელი შესამჩნევი მონაცემები შეზღუდულია ან სრულად აღარ შეესაბამება მიმდინარე მდგომარეობას. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა მსესხებელს აქვს ფინანსური პრობლემები და მსგავსი მსესხებლების შესახებ ხელმისაწვდომი ისტორიული მონაცემები მცირეა. ამ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით ფილიალი ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას.

მაშინ, როდესაც სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვების მიმართ. ფილიალი ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს (და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს), როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც დასრულდება ყველა ის ქმედება, რომელიც გამიზნული იყო სესხის ამოსაღებად.

(ii) არაფინანსური აქტივები

გადავადებული გადასახადების გარდა, ჯგუფის სხვა არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული სააანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშანი. აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ორი ღირებულებიდან უდიდესი თანხის საფუძველზე: აქტივის გამოყენებითი ღირებულება და მისი რეალური ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგება-ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში. გაუფასურების ზარალი კომპენსირებისას კორექტირდება მხოლოდ იმ ოდენობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის საბალანსო ღირებულებას ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, რომელოც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალის აღიარება არ მოხდებოდა.

(გ) სავალდებულო კაპიტალი

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ფილიალს არ გააჩნია რეგისტრირებული საწესდებო კაპიტალი. ფილიალს გააჩნია მხოლოდ სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად.

(h) დაბეგვრა

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა რაც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებას ან მფლობელებთან ტრანზაქციებს, რომლებიც პირდაპირ კაპიტალშია აღიარებული. ამ შემთხვევაში ის აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი არის მოსალოდნელი გადასახადი წლის დასაბეგრ შემოსავალზე, იმ საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს საანგარიშგებო თარიღისთვის, და, აგრეთვე, წინა წლებში გადახდილი ნებისმიერი გადასახადის კორექტირებებით.

გადავადებული გადასახადის დათვლა ხდება იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებიც არსებობს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის. იმ აქტივებისა და ვალდებულებების დროებითი სხვაობები თავდაპირველი აღიარებისას, რომლებიც არ ზემოქმედებს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე, არ იქნება გათვალისწინებული.

გადავადებული გადასახადისა და ვალდებულებების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რასაც ფილიალი მოელის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა აინაზღაუროს ან დაფაროს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება. გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ხდება საგადასახადო განაკვეთის მიხედვით, რომელიც, სავარაუდოდ, დროებითი სხვაობების მიმართ გამოიყენება მათი ცვლილებისას ანგარიშგების თარიღისთვის მიღებული ან არსებითად მიღებული კანონების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მომავალში დასაბეგრი შემოსავლების მიღების ალბათობა, რომლის მიმართაც შესაძლო იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და კრედიტის გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები მცირდება, თუ აღარ არის მოსალოდნელი, რომ მოხდება შესაბამისი საგადასახადო შეღავათის რეალიზება.

(i) შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების საკომისიო და სხვა საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენს სესხის ზოგადი შემოსავლიანობის განუყოფელ ნაწილს, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, ექვემდებარება გადავადებას და ამორტიზაციას საპროცენტო შემოსავლის მიმართ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სარგებლიანობის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საშუალებით.

სხვა მოსაკრებლების, საკომისიოების და სხვა შემოსავლის და ხარჯის აღიარება მოგება-ზარალში ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გათვალისწინებით საოპერაციო იჯარის ვადის ამოწურვამდე. მიღებული საიჯარო სტიმულირების აღიარება ხორციელდება, როგორც სრული საიჯარო ხარჯის შემადგენელი ნაწილი იჯარის ვადის განმავლობაში.

(j) ახალი სტანდარტები და ახსნა-განმარტებები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგილი

მთელი რიგი ახალი სტანდარტები, აგრეთვე, ცვლილებები სტანდარტებსა და ახსნა-განმარტებებში ჯერ კიდევ არ მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამდენად, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მათი გამოყენების გარეშე მომზადდა. მათგან კომპანიის საქმიანობაზე პოტენციურად ზეგავლენას მოახდენს ჩამონათვალში მოცემული სტანდარტები. ფილიალი დანერგავს აღნიშნულ სტანდარტებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები გამოშვებული იქნება რამდენიმე ნაწილად და განზრახულია, რომ შეცვალოს ბასს 39 "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება". ფასს 9-ის პირველი ნაწილი გამოშვებულია 2009 წლის ნოემბერში და ეხება ფინანსური აქტივების აღიარებასა და შეფასებას. მეორე ნაწილი ეხება ფინანსური ვალდებულებების შეფასებას და კლასიფიკაციას, რომელიც გამოშვებულია 2010 წლის ოქტომბერში. მესამე ნაწილი სტანდარტისა გამოშვებულია 2013 წლის ნოემბერში და ეხება ჰეჯირების აღრიცხვას. ფილიალი აცნობიერებს, რომ ახალ სტანდარტს შეაქვს ბევრი ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვაში და შესაძლოა იქონიოს არსებითი ზეგავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამ ცვლილებების გავლენის ანალიზი ჩატარდება პროექტის განმავლობაში, მას შემდეგ რაც გამოშვებული იქნება სტანდარტის დანარჩენი ნაწილი. ფილიალი არ აპირებს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას.
- ბასს 32 "ფინანსური ინსტრუმენტების ცვლილება: წარდგენა – ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჩათვლა" არ გულისხმობს ახალი წესის შემოღებას, არამედ ჩათვლის კრიტერიუმის გარკვევით ჩამოყალიბებას, რომელიც მიზანმიმართულია შეუსაბამოებების აღმოსაფხვრელად. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჩათვლის განხორციელებისათვის საწარმოს უნდა ჰქონდეს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება, თუკი ამ

უფლების განხორციელება არ არის დამოკიდებული რომელიმე სამომავლო მოვლენაზე და განხორციელებადია ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობის დროს და ამავდროულად საწარმოს კონტრაგენტების გაკოტრების პერიოდში. ცვლილებები ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2014 წლის 1 იანვრიდან ან 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ და დაინერგება რეტროსპექტიულად. ფილიალს ჯერ არ გაუანალიზებია ახალი სტანდარტის შესაძლო გავლენა მის ფინანსურ პოზიციასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

- ფასს-ში შეტანილი სხვადასხვა შესწორებები მოცემულია თითოეული სტანდარტის საფუძველზე. ყველა ცვლილება, რომელიც გამოიწვევს სააღრიცხვო ცვლილებას წარმოდგენის, აღიარების და შეფასების მხრივ, მოქმედი გახდება არაუადრეს 2014 წლის 1 იანვრისა. ფილიალს ჯერ არ ჩაუტარებია ანალიზი აღნიშნული ცვლილებების სავარაუდო ზეგავლენის შესახებ ფილიალის ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციებზე.

4 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

ლარი	2013	2012 წლის 13 ივლისიდან (რეგისტრაცია) 31 დეკემბრამდე
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	972,156	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	432,141	231,355
	1,404,297	231,355
საპროცენტო ხარჯი		
სესხები	(256,337)	-
სხვა	(12,208)	(1,194)
	(268,545)	(1,194)
	1,135,752	230,161

გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე არ იყო დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი 2013 და 2012 წლებში.

5 სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2013	2012 წლის 13 ივლისიდან (რეგისტრაცია) 31 დეკემბრამდე
პროფესიული მომსახურების ხარჯები	227,379	76,540
საოპერაციო იჯარის ხარჯები	138,136	71,969
ცვეთა და ამორტიზაცია	123,691	42,619
საკომუნიკაციო და საინფორმაციო ხარჯები	54,627	41,759
მივლინების ხარჯები	20,873	18,758
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები	18,805	36,195
მიმდინარე შეკეთების ხარჯები	16,178	14,225
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	13,743	149,819
კომუნალური ხარჯები	13,124	3,331
დაზღვევის ხარჯები	12,090	-
ოფისის ხარჯები	5,396	4,294
სხვა	48,015	11,215
	692,057	470,724

6 დაბეგვრა

ლარი	2013	2012 წლის 13 ივლისიდან (რეგისტრაცია) 31 დეკემბრამდე
მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი დროებითი სხვაობების წარმოშობისა და უკუგატარების შედეგად	54,036	57,737
სულ მოგების გადასახადი	54,036	57,737

2013 წლისთვის მიმდინარე და გადავადებული გადასახადების განაკვეთი 15%-ია (2012: 15%)

ეფექტურ საგადასახადო განაკვეთთან შეჯერება 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

	2013 ლარი	%	2012 ლარი	%
ზარალი დაბეგრამდე	359,731	100	448,696	100
მოგების გადასახადი მოქმედი განაკვეთით	53,960	15	67,304	15
გამოუქვითავი ხარჯები (შემოსავალი, რომელიც დაბეგრას არ ექვემდებარება)	76	-	(9,567)	(2)
	54,036	15	57,737	13

(a) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის გამოყენებული აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ნაშთებსა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობა წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივს 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

გამოსაქვითი დროებითი სხვაობები არ კარგავენ ძალას არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საგადასახადო ზარალის გადატანა მომავალ პერიოდისთვის იწურება 5 წელიწადში.

დროებითი სხვაობების მოძრაობები 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ლარი	ნაშთი 2013 წლის 1 იანვარი	აღიარებული მოგება-ზარალში	ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბერი
	ძირითადი საშუალებები	(9,605)	(9,136)
საგადასახადო ზარალის გადატანა	67,342	63,172	130,514
	57,737	54,036	111,773

ლარი	ნაშთი 2012 წლის 13 ივლისი (რეგისტრაცია)	აღიარებული მოგება-ზარალში	ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბერი
	ძირითადი საშუალებები	-	(9,605)
საგადასახადო ზარალის გადატანა		67,342	67,342
		57,737	57,737

7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	2013	2012
ხელთ არსებული ფულადი სახსრები	273,707	384,751
ნოსტრო ანგარიშები საქართველოს ეროვნულ ბანკში	77,878	38,303
ნოსტრო ანგარიშები სხვა ბანკებში		
- საკრედიტო რეიტინგი BBB	62,544	48,230
- საკრედიტო რეიტინგი BB- დან BB+ მდე	2,996,373	3,829,903
სულ ნოსტრო ანგარიშები სხვა ბანკებში	3,058,917	3,878,133
ფულადი სახსრების ეკვივალენტები		
- ვადიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში		
- რეიტინგი BB- დან BB+ მდე	9,207,160	9,609,542
სულ ფულადი სახსრების ეკვივალენტები	9,207,160	9,609,542
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,617,662	13,910,729

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არ არის გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფილიალს ერთ ბანკში აქვს 12,175,115 ლარი, რომლის ბალანსი აღემატება კაპიტალის 10%-ს (2012 წლის 31 დეკემბერი: 12, 900, 764 ლარი).

8 გაცემული სესხები

ლარი	2013	2012
კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები		
მცირე და საშუალო ზომის კომპანიებზე გაცემული სესხები	16,741,646	-
სულ კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები	16,741,646	-
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები		
სამომხმარებლო სესხები	65,522	-
იპოთეკური სესხები	76,276	-
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	141,798	-
სულ გაცემული სესხები	16,883,444	-
გაუფასურების რეზერვი	(336,876)	-
წმინდა გაცემული სესხები	16,546,568	-

სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები და შემადგენელი ნაწილი 2013 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა კლიენტებზე გაცემული სესხების კლასების მიხედვით შემდეგია:

ლარი	კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები	ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	სულ
ნაშთი წლის დასაწყისში	-	-	-
წმინდა დარიცხვა	334,059	2,817	336,876
ნაშთი წლის ბოლოს	334,059	2,817	336,876

შემდეგ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია სასესხო პროდუქტების შესაბამისად 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ლარი	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	საბალანსო ღირებულება
კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები:			
მცირე და საშუალო ზომის კომპანიებზე გაცემული სესხები	16,741,646	(334,059)	16,407,587
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები:			
სამომხმარებლო სესხები	65,522	(1,301)	64,221
იპოთეკური სესხები	76,276	(1,516)	74,760
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	16,883,444	(336,876)	16,546,568

(a) გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

მოცემული ცხრილი გვიჩვენებს გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ლარი	მთლიანი სესხები	გაუფასურების რეზერვი	წმინდა სესხები	გაუფასურების რეზერვის შეფარდება მთლიან სესხებთან, %
კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები				
მცირე და საშუალო ზომის კომპანიებზე გაცემული სესხები				
სესხები გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების გარეშე	16,741,646	(334,059)	16,407,587	2%
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები				
სამომხმარებლო სესხები				
- არავადაგადაცილებული	65,522	(1,301)	64,221	2%
იპოთეკური სესხები				
- არავადაგადაცილებული	76,276	(1,516)	74,760	2%
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	141,798	(2,817)	138,981	2%
სულ გაცემული სესხები	16,883,444	(336,876)	16,546,568	2%

(b) სესხის გაუფასურების გაანგარიშებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები და მოსაზრებები

(i) კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები

ფილიალი აწარმოებს კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების გამოთვლებს გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების მქონე სესხების ფულადი სახსრების მომავალი მოძრაობის ანალიზის საფუძველზე. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კორპორატიულ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნებით არ აღინიშნება.

კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისას ფილიალი იყენებს 2%-ს ეკონომიკური გარემოსა და საბაზრო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით.

ცვლილებებმა ზემოთ აღნიშნულ შეფასებებში შეიძლება გავლენა იქონიოს სესხის გაუფასურების რეზერვის უზრუნველყოფაზე. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო ფულადი სახსრების მოძრაობის წმინდა მიმდინარე ღირებულება 1%-ით განსხვავდება, კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 168,834 ლარით შეიცვლება.

(c) უზრუნველყოფის ანალიზი

კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები

კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები ექვემდებარება ინდივიდუალურ საკრედიტო შეფასებასა და გაუფასურების ტესტს. კორპორატიული კლიენტის ზოგადი გადახდისუნარიანობა, როგორც წესი, სესხის ხარისხის ყველაზე სწორი ინდიკატორია. თუმცა, სესხის უზრუნველყოფა დამატებით გარანტიებს წარმოადგენს და ფილიალი ზოგადად ითხოვს კორპორატიული მსესხებლებისგან სესხის უზრუნველყოფას.

კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული ყველა სესხი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფილია ძირითადად უძრავი ქონებითა და დანადგარებით.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის მთლიანი თანხა 13,435,468 ლარის ოდენობით გაცემული იყო ერთ კორპორატიულ კლიენტზე, რომელიც სასტუმრო ბიზნესის სექტორში საქმიანობს. სესხი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით (იხ. 8 (e) შენიშვნა).

ხელმძღვანელობის შეფასებით სესხის უზრუნველყოფის რეალური ღირებულება სესხის ამოქმედებისას, როგორც მინიმუმ, შესაბამისი უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულების ტოლფასია 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ჭარბი უზრუნველყოფის ეფექტის გათვალისწინების გარეშე). ხელმძღვანელობა არ ელის, რომ შესაძლო ნეგატიური მოძრაობები სესხის უზრუნველყოფის საბაზრო ფასებში იქონიებენ არსებით გავლენას სესხის დაბრუნებაზე.

(d) სესხის პორტფელის ანალიზი სამრეწველო დარგებისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით

სესხები ძირითადად გაცემულია საქართველოში მცხოვრებ კლიენტებზე, რომლებიც საქმიანობენ შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში:

ლარი	2013	2012
სასტუმრო ბიზნესის სექტორი	14,902,646	-
სოფლის მეურნეობა	1,740,014	-
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	141,798	-
მომსახურების სფერო	98,986	-
	16,883,444	-
გაუფასურების რეზერვი	(336,876)	-
	16,546,568	-

(e) მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფილიალს ჰყავს ერთი მსესხებელი სასტუმრო ბიზნესის სექტორში, რომლის სესხის ბალანსი აღემატება კაპიტალის 10%-ს. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის მთლიანი ღირებულება შეადგენს 13,435,468 ლარს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით ფილიალმა მიიღო სესხი ბანკისგან ამ მსესხებლის სესხის დასაფინანსებლად. მიღებულ სესხს დაფარვის იგივე ვადა აქვს, რაც მსესხებელზე გაცემულ სესხს და არ დაექვემდებარება გადახდას მანამ, სანამ კლიენტზე გაცემული სესხი გადახდილი არ იქნება ან სანამ ამ სესხის უზრუნველყოფის რეალიზება არ მოხდება.

(f) სესხის დაფარვის ვადა

სასესხო პორტფელის დაფარვის ვადის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია მე-13 (c) შენიშვნაში, რომელიც ასახავს დარჩენილ პერიოდს ანგარიშგების თარიღიდან სახელშეკრულებო ვადის დასრულებამდე.

9 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ლარი	იჯარით აღებული ქონების მოწყობა	კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობები	საოფისე ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება						
ბალანსი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	346,081	154,126	98,346	-	12,738	611,291
შესყიდვა	31,480	19,800	-	102,703	412,257	566,240
ბალანსი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	377,561	173,926	98,346	102,703	424,995	1,177,531
ცვეთა და ამორტიზაცია						
ბალანსი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(22,719)	(12,340)	(7,560)	-	-	(42,619)
ცვეთა და ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(54,273)	(33,623)	(16,358)	(6,847)	(12,590)	(123,691)
ბალანსი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(76,992)	(45,963)	(23,918)	(6,847)	(12,590)	(166,310)
საბალანსო ღირებულება						
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	300,569	127,963	74,428	95,856	412,405	1,011,221

სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები და შემადგენელი ნაწილი 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ლარი	იჯარით აღებული ქონების მოწყობა	კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობა	საოფისე ავეჯი და ინვენტარი	არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება					
ბალანსი 2012 წლის 13 ივლისის მდგომარეობით (რეგისტრაცია)	-	-	-	-	-
შესყიდვა	346,082	154,126	98,346	12,738	611,292
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	346,082	154,126	98,346	12,738	611,292
ცვეთა და ამორტიზაცია					
ბალანსი 2012 წლის 13 ივლისის მდგომარეობით (რეგისტრაცია)	-	-	-	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(22,719)	(12,340)	(7,560)	-	(42,619)
ბალანსი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(22,719)	(12,340)	(7,560)	-	(42,619)
საბალანსო ღირებულება					
2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	323,362	141,786	90,786	12,738	568,672

2013 და 2012 წლების განმავლობაში ძირითადი საშუალებების შემენასთან ან აშენებასთან დაკავშირებით სასესხო ხარჯების კაპიტალიზაცია არ მომხდარა.

10 ბანკების დეპოზიტები და ბალანსები

ლარი	2013	2012
ვოსტრო ანგარიშები	1,838,266	357,746

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვოსტრო ანგარიშები, რომელიც კაპიტალის 10%-ს აღემატება, ერთი ბანკიდანაა - სს თურქეთის იმ ბანკი (2012 წლის 31 დეკემბერი: ნული).

11 მომხმარებლების დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები

ლარი	2013	2012
მიმდინარე ანგარიშები		
- საცალო	303,948	493,073
- კორპორატიული	2,458,066	467,421
ვადიანი დეპოზიტები		
- კორპორატიული	711,795	-
	3,473,809	960,494

12 სესხები

ლარი	2013	2012
სესხი სს თურქეთის იმ ბანკისგან	13,409,444	693,525

(a) ვადები და დავალიანების დაფარვის გრაფიკი

ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	2013		2012	
				ნომინალურ დირეზულე ბა	საბალანსო დირეზულე ბა	ნომინალურ დირეზულ ება	საბალანსო დირეზულ ება
სესხი სს თურქეთის იმ ბანკისგან	აშშ დოლარი	3.8-4%	2018	13,409,444	13,409,444	-	-
სესხი სს თურქეთის იმ ბანკისგან	თურქულ ლირა	7.5%	2013	-	-	693,525	693,525

2013 წელს ფილიალმა მიიღო სესხები სს თურქეთის იმ ბანკისგან კორპორატიული კლიენტის სესხის დასაფინანსებლად, რაც აღწერილია 8(e) შენიშვნაში. დავალიანების დაფარვის გრაფიკი შეესაბამება კლიენტისთვის გაცემული სესხის დავალიანების დაფარვის გრაფიკს.

13 რისკების მართვა

რისკების მართვა დაბანკო საქმიანობის არსებით ნაწილსა და ფილიალის ოპერაციების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ფილიალის წინაშე არსებული ძირითადი რისკებია საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდობის რისკი.

(a) რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები

რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია ფილიალის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმის განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი.

ბანკი ზოგადად პასუხისმგებელია რისკების მართვის მასშტაბის ზედამხედველობაზე, ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურების გადახედვა-განახლებაზე და არსებითი ზემოქმედების დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობას ევალება რისკების შემცირების მონიტორინგი და განხორციელება და ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ კომპანიის საქმიანობა განსაზღვრული სარისკო პარამეტრების ფარგლებში მიმდინარეობს. რისკების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია რისკების ზოგად მართვაზე და უზრუნველყოფს საერთო პრინციპებისა და მეთოდების განხორციელებას ფინანსური და არაფინანსური რისკების გამოვლინება, შეფასება, მართვასა და ანგარიშთან დაკავშირებით. ის ანგარიშს უშუალოდ მენეჯმენტს წარუდგენს.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკების მართვა და კონტროლი, როგორც საპორტფელო, ასევე საოპერაციო დონეზე ხდება საკრედიტო კომიტეტებისა და რისკების მართვის დანაყოფის მიერ.

(b) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების ცვალებადობის რისკს, რაც გამოწვეულია საბაზრო ფასების ცვლილებით. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა სახის საფასო რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების ღია პოზიციებიდან, სავალუტო და კაპიტალის ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც რეაგირებს ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და საბაზრო ფასების რყევებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე, რისკის ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საბაზრო რისკების მართვისას ფილიალი ადგენს ღია პოზიციების შეზღუდვებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო განაკვეთთან და ვალუტის პოზიციასთან დაკავშირებით. ამის მონიტორინგი, განხილვა და დამტკიცება მუდმივად ხდება ხელმძღვანელობის მიერ.

(i) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების რყევების ზეგავლენის საფრთხეს ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ფილიალზე შესაძლოა ზემოქმედებდეს ფინანსური პოზიციისა და ნაღდი ფულადი ნაკადების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები. საპროცენტო ზღვარი შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდევ ან განაპირობოს ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ რყევებს.

საპროცენტო განაკვეთის წყვეტილის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვა ხდება საპროცენტო განაკვეთების წყვეტილის მონიტორინგით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები საპროცენტო განაკვეთების მდგომარეობების მიხედვით.

ლარი	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	უპროცენტ ო	საბალანსო ღირებულე ბა
2013 წლის 31 დეკემბერი							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,343,955	-	-	-	-	273,707	12,617,662
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	-	-	-	-	-	601,368	601,368
გაცემული სესხები	334,748	706,566	2,161,090	13,016,162	328,002	-	16,546,568
	12,678,703	706,566	2,161,090	13,016,162	328,002	875,075	29,765,598
ვალდებულებები							
ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	1,838,266	-	-	-	-	-	1,838,266
მომხმარებლების დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები	2,762,014	711,795	-	-	-	-	3,473,809
სესხები	222,071	611,611	1,691,565	10,884,197	-	-	13,409,444
	4,822,351	1,323,406	1,691,565	10,884,197	-	-	18,721,519
წმინდა საბალანსო პოზიცია	7,856,352	(616,840)	469,525	2,131,965	328,002	875,075	11,044,079

*სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები და შემადგენელი ნაწილი 2013 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის*

ლარი	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	უპროცენტ ო	საბალანსო ღირებულებ ა
2012 წლის 31 დეკემბერი							
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13,525,978	-	-	-	-	384,751	13,910,729
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში	-	-	-	-	-	61,056	61,056
	13,525,978	-	-	-	-	445,807	13,971,785
ვალდებულებები							
ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	357,746	-	-	-	-	-	357,746
მომხმარებლების დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები	960,494	-	-	-	-	-	960,494
სესხები	693,525	-	-	-	-	-	693,525
	2,011,765	-	-	-	-	-	2,011,765
წმინდა საბალანსო პოზიცია	11,514,213	-	-	-	-	445,807	11,960,020

საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია პროცენტით დატვირთული აქტივებისა და ვალდებულებების საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთები 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები ასახავს ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვამდე შემოსავლიანობის გასაშუალოებულ მაჩვენებელს.

	2013		2012	
	საშუალო ეფექტური განაკვეთი, %		საშუალო ეფექტური განაკვეთი, %	
	ლარი	აშშ დოლარი	ლარი	თურქული ლირა
საპროცენტო აქტივები				
ნოსტრო ანგარიშები ბანკებში	4.0%	0.2%	-	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	16.5%	11.4%	-	-
საპროცენტო ვალდებულებები				
კლიენტების ანგარიშები				
- ვადიანი დეპოზიტები	-	1.0%	-	-
სესხები	-	3.9%	-	7.5%

საპროცენტო განაკვეთის მგრძობიარობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა საპროცენტო განაკვეთის წყვეტილის ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძობიარობის მონიტორინგთან ერთად. წმინდა მოგების სენსიტიურობის ანალიზი საპროცენტო განაკვეთში ცვლილებებზე (ფასების შეცვლის რისკი) ეყრდნობა სიმეტრიული ვარდნისა ან ზრდის 100 საბაზისო პუნქტის გამარტივებულ სცენარს და საპროცენტო განაკვეთით დატვირთული აქტივებისა და ვალდებულებების მდგომარეობას 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ლარი	2013	2012 წლის 13 ივლისიდან (რეგისტრაცია) 31 დეკემბრამდე
100 საბაზისო პუნქტით ვარდნა	85,963	132,316
100 საბაზისო პუნქტით მომატება	(85,963)	(132,316)

(ii) სავალუტო რისკი

ფილიალის აქტივები და ვალდებულებები სხვადასხვა ვალუტაშია დენომინირებული.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიძლება შეიცვალოს უცხოური ვალუტების კურსებში მომხდარი ცვლილებების გამო.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო პოზიციის სტრუქტურას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო ლარი	აშშ დოლარი ლარი	თურქული ლირა ლარი	სულ ლარი
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	29,831	3,186,323	75,495	3,291,649
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	929	600,439		601,368
გაცემული სესხები	-	16,513,684		16,513,684
სულ აქტივები	30,760	20,300,446	75,495	20,406,701
ვალდებულებები				
ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	519,786	1,318,480	-	1,838,266
მომხმარებლების დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები	6,200	3,357,434	4,831	3,368,465
სესხები	-	13,409,444	-	13,409,444
სულ ვალდებულებები	525,986	18,085,358	4,831	18,616,175
წმინდა საბალანსო პოზიცია	(495,226)	2,215,088	70,664	1,790,526

*სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები და შემადგენელი ნაწილი 2013 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის*

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო პოზიციის სტრუქტურას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო ლარი	აშშ დოლარი ლარი	თურქული ლირა ლარი	სულ ლარი
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	149,130	141,409	131,699	422,238
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	310	60,746	-	61,056
სულ აქტივები	149,440	202,155	131,699	483,294
ვალდებულებები				
ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	139,202	218,544	-	357,746
მომხმარებლების დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები	240	638,582	1,812	640,634
სესხები	-		693,525	693,525
სულ ვალდებულებები	139,442	857,126	695,337	1,691,905
წმინდა საბალანსო პოზიცია	9,998	(654,971)	(563,638)	(1,208,611)

ლარის კურსის შესუსტება, როგორც ქვემოთაა მითითებული, შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდიდა (შეამცირებდა) მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები თანხების მიხედვით. აღნიშნული ანალიზი არ ითვალისწინებს გადასახადებს და ეყრდნობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობას, რაც ფილიალმა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს შესაძლოდ ჩათვალა. ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია.

GEL	2013	2012 წლის 13 ივლისიდან (რეგისტრაცია) 31 დეკემბრამდე
10% ევროს გამყარება ლართან მიმართებაში	(42,094)	850
10% დოლარის გამყარება ლართან მიმართებაში	188,282	(55,673)
10% თურქული ლირის გამყარება ლართან მიმართებაში	6,006	(47,909)

ლარის გამყარებას ზემოთმოყვანილ ვალუტებთან, 2013 და 2012 წლის 31 დეკემბერს ექნებოდა თანაბარი, თუმცა, საწინააღმდეგო ეფექტი ნაჩვენებ თანხაზე, იმის დაშვებით, რომ სხვა დანარჩენი ცვლადი მუდმივია.

(b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. ფილიალს შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, მათ შორის პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის ინსტრუქცია და შექმნილია საკრედიტო კომიტეტი, რომელიც ახორციელებს საკრედიტო რისკების აქტიურ მონიტორინგს. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვის და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიას (საკრედიტო და საცალო);
- მეთოდოლოგია უზრუნველყოფის შესაფასებლად
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნები
- სესხების და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურები.

საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს საკრედიტო განცხადების დაფინანსების ან უარის თქმის შესახებ. კომიტეტის დასამტკიცებლად წარდგენილი სესხები ეყრდნობა შეზღუდვებს, რომელიც საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებშია დადგენილი. სესხები, რომლებიც აღემატება 100,000 აშშ დოლარს, შემდგომი დამტკიცებისთვის ეგზავნება სათაო ოფისს თურქეთში კორპორატიული სესხებისთვის, რომელიც 100,000 აშშ დოლარს აღემატება, ფილიალი იყენებს დამოუკიდებელი ექსპერტების მომსახურებას კლიენტის ბიზნესისა და ფინანსური საქმიანობის ანალიზის განსახორციელებლად.

საკრედიტო რისკების კონტროლი ასევე, ნაწილობრივ, გირაოსა და პირადი გარანტიების მიღებით ხორციელდება. სესხის უზრუნველყოფის შეფასება ხდება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ზემოთ აღნიშნულ სესხებთან მიმართებაში.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი ზოგადად აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

აქტივებისა და ვალდებულებების სავარაუდო ურთიერთგაქვითვის გავლენა პოტენციური რისკების შესამცირებლად არ არის მნიშვნელოვანი.

კლიენტებისთვის გაცემული სესხების უზრუნველყოფისა და კლიენტებზე გაცემული სესხების სასესხო რისკის კონცენტრაციის ანალიზისთვის იხილეთ მე-8 შენიშვნაში.

(c) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომლის წინაშეც დგება ფილიალი იმ თანხების მოზიდვის გართულების შემთხვევაში, რომელიც აუცილებელი იქნება მისი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადა განსხვავებულია. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდობის მართვის ქვაკუთხედს. სრული შესაბამისობის მიღწევა ფინანსურ ინსტიტუტებში შეუძლებელია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად განუსაზღვრელი პირობით ვითარდება და თანაც სხვადასხვა ტიპისაა. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მოგებას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

ფილიალი მართავს ლიკვიდობას, უზრუნველყოფს რა ხელმისაწვდომ თანხებს ნებისმიერ დროს ვადამოსული, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით. ლიკვიდობის პოლიტიკას განიხილავს და ამტკიცებს ხელმძღვანელობა.

ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოიცავს შემდეგს: :

- დაფინანსების სტრუქტურის მონიტორინგი
- დაფარვის ინტერვალის მონიტორინგი
- მარეგულირებელი ლიკვიდურობის კოეფიციენტის მონიტორინგი
- მიმდინარე ოპერაციების უწყვეტი მონიტორინგი

ლიკვიდობის მონიტორინგი ხორციელდება ფინანსური დეპარტამენტისა და რისკის მართვის დანაყოფის მიერ. ნორმალური საბაზრო პირობების ფარგლებში ინფორმაცია ლიკვიდობაზე წარედგინება რისკების მართვის დეპარტამენტს ყოველკვირეულად. გადაწყვეტილებებს ლიკვიდობის მართვის შესახებ იღებს რისკის მართვის დანაყოფი, რომელსაც ფინანსური დეპარტამენტი ახორციელებს.

გარდა ამისა, ფილიალი რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდობის კოეფიციენტის მონიტორინგს, რომელიც გამოთვლილია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად.

წინამდებარე ცხრილებში ასახულია ვალდებულებების არადისკონტირებული ნაღდი ფულადი ნაკადები მათი უადრესი შესაძლო სახელშეკრულებო ვადიანობის საფუძველზე. მთლიანი გადინება და შემოდინება, რომელიც ასახულია ცხრილში, წარმოადგენს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ნაღდ ფულად ნაკადს ფინანსურ ვალდებულებასთან მიმართებაში.

სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები და შემადგენელი ნაწილი 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის პოზიცია 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 6 თვემდე	6 თვიდან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	მოლიანი შემოდინების (გადინების) თანხა	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული ვალდებულებები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,646,427	-	-	-	-	12,646,427	12,617,662
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	601,368	-	-	-	-	601,368	601,368
გაცემული სესხები	250,407	495,751	1,165,890	2,997,255	16,369,707	21,279,008	16,546,568
სხვა ფინანსური აქტივები	746	-	-	-	-	746	746
სულ ფინანსური აქტივები	13,498,948	495,751	1,165,890	2,997,255	16,369,707	34,527,549	29,766,344
არაწარმოებული ვალდებულებები							
ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	(1,838,266)	-	-	-	-	(1,838,266)	(1,838,266)
მომხმარებლების დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები	(2,762,013)	(729,710)	-	-	-	(3,491,723)	(3,473,809)
სესხები	(110,729)	(237,074)	(738,201)	(1,917,115)	(11,648,253)	(14,651,372)	13,409,444
სხვა ვალდებულებები	(10,373)	-	-	-	-	(10,373)	(10,373)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(4,721,381)	(966,784)	(738,201)	(1,917,115)	(11,648,253)	(19,991,734)	(18,731,892)
ლიკვიდურობის წმინდა წყვეტილი აღიარებულ ფინანსური აქტივებსა და ვალდებულებებზე	8,777,567	(471,033)	427,689	1,080,140	4,721,454	14,535,815	11,034,452

სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები და შემადგენელი ნაწილი 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის პოზიცია 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

GEL	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	მთლიანი შემოდინების (გადინების) თანხა	საბალანსო ღირებულება
არაწარმოებული აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13,932,230	13,932,230	13,910,729
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	61,056	61,056	61,056
სხვა ფინანსური აქტივები	15,400	15,400	15,400
სულ ფინანსური აქტივები	14,008,686	14,008,686	13,987,185
არაწარმოებული ვალდებულებები			
ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	(357,746)	(357,746)	(357,746)
მომხმარებლების დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები	(960,494)	(960,494)	(960,494)
სესხები	(695,837)	(695,837)	(693,525)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(165,135)	(165,135)	(164,745)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(2,179,212)	(2,179,212)	(2,176,509)
ლიკვიდურობის წმინდა წყვეტილი აღიარებულ ფინანსური აქტივებსა და ვალდებულებებზე	11,829,474	11,829,474	11,810,676

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ფიზიკურ პირებს შეუძლიათ ვადიანი დეპოზიტების გატანა ნებისმიერ დროს; ხშირ შემთხვევებში ისინი კარგავენ დარიცხულ პროცენტებს. შესაბამისად, ეს დეპოზიტები, გარდა დარიცხული პროცენტებისა, ნაჩვენებია ზემოთ მოყვანილ ცხრილში კატეგორიაში „მოთხოვნამდე და 1 თვემდე“. ფილიალს არ ჰქონია დეპოზიტები ფიზიკური პირებისგან კონტრაქტით გათვალისწინებული დაფარვის ვადით 1 თვეზე მეტი პერიოდისთვის 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2012: ნული).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზი:

ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	უვალო	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12,343,955	-	-	-	-	273,707	12,617,662
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	601,368	-	-	-	-	-	601,368
გაცემული სესხები	128,833	205,915	2,867,656	13,016,162	328,002	-	16,546,568
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	1,011,221	1,011,221
გადავადებული საგადასახადო აქტივები	-	-	-	-	-	111,773	111,773
სხვა აქტივები	3,798	-	-	-	-	-	3,798
სულ აქტივები	13,077,954	205,915	2,867,656	13,016,162	328,002	1,396,701	30,892,390
ვალდებულებები							
ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	1,838,266	-	-	-	-	-	1,838,266
მომხმარებლების დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები	2,762,014	711,795	-	-	-	-	3,473,809
სესხები	64,759	157,312	2,303,176	10,884,197	-	-	13,409,444
სხვა ვალდებულებები	10,373	-	-	-	-	-	10,373
სულ ვალდებულებები	4,675,412	869,107	2,303,176	10,884,197	-	-	18,731,892
წმინდა საბალანსო პოზიცია	8,402,542	(663,192)	564,480	2,131,965	328,002	1,396,701	12,160,498

სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები და შემადგენელი ნაწილი 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით 2012 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული თანხების ანალიზი:

ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვემდე	უვალო	სულ
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13,525,978	384,751	13,910,729
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	61,056	-	61,056
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	568,672	568,672
გადავადებული საგადასახადო აქტივები	-	57,737	57,737
სხვა აქტივები	15,400	-	15,400
სულ აქტივები	13,602,434	1,011,160	14,613,594
ვალდებულებები			
ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	357,746	-	357,746
მომხმარებლების დეპოზიტები და მიმდინარე ანგარიშები	960,494	-	960,494
სესხები	693,525	-	693,525
სხვა ვალდებულებები	164,744	-	164,744
სულ ვალდებულებები	2,176,509	-	2,176,509
წმინდა საბალანსო პოზიცია	11,425,925	1,011,160	12,437,085

14 კაპიტალის მართვა

ფილიალისთვის კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ადგენს და მათ მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

ფილიალი განსაზღვრავს როგორც კაპიტალს იმ პუნქტებს, რაც საკრედიტო ინსტიტუტის კაპიტალადაა განსაზღვრული კანონმდებლობის თანახმად. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კაპიტალთან დაკავშირებული დადგენილი მოთხოვნების თანახმად, ბანკებმა უნდა უზრუნველყონ კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან (კაპიტალის საკმარისობის ნორმატივი) დადგენილი მინიმალური ნორმის ზემოთ. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მინიმალური ნორმა შეადგენს 12%-ს. 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფილიალი აკმაყოფილებს კაპიტალის საკმარისობის ნორმატივს.

კაპიტალის საკმარისობის გაანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ლარი	2013	2012
სავალდებულო რეზერვი	12,857,152	12,828,043
დაგროვილი ზარალი	(696,654)	(390,959)
სულ კაპიტალი	12,160,498	12,437,084
რისკით შეწონილი აქტივები (არააუდირებული)	23,283,602	7,278,975
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (%) (არააუდირებული)	52%	171%

რისკების მიხედვით შეწონილი აქტივების შეფასება ხდება რისკის წონების იერარქიის მეშვეობით, რომელიც კლასიფიცირებულია რისკების ხასიათის მიხედვით და ასახავენ სესხის, ბაზრის და სხვა რისკების შეფასებას, რომლებიც დაკავშირებულია თითოეულ აქტივთან და კონტრაგენტთან, სესხის უზრუნველყოფისა და გარანტიების გათვალისწინებით.

15 გაუთვალისწინებელი გარემოებები

(a) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას მიმდინარე, მოსალოდნელ ან დაუმთავრებელ მნიშვნელოვან სარჩელებზე ფილიალის წინააღმდეგ.

(b) დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში არანაირი ვალდებულებების, ჯარიმების და საურავების დაწესება არ არის შესაძლებელი, თუ ექვს წელზე მეტი იქნება გასული საგადასახადო წლიდან, როდესაც მოხდა დარღვევა.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

16 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) მმართველობითი ურთიერთობა

სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალს აკონტროლებს იმ ბანკის წევრების დამატებითი საპენსიო ფონდი. მაკონტროლებელი მხარე არ გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას. თუმცა, ასეთ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსცემს იმ ბანკი.

(b) ოპერაციები სამეთვალყურეო საბჭოსთან და ხელმძღვანელობასთან

ქვემოთ წარმოდგენილია ანაზღაურება, რომელიც შესულია თანამშრომელთა ხელფასებში 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.

	2013	2012 წლის 13 ივლისიდან (რეგისტრაცია) 31 დეკემბრამდე
ლარი		
მოკლევადიანი ანაზღაურება თანამშრომლებისთვის	478,982	84,836

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

დაუფარავი ნაშთები და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების მოგებისა ან ზარალის თანხა 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შემდეგია:

ლარი	ბანკი	ბანკის სხვა შვილობილი კომპანიები	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები			
- თურქულ ლირაში	62,544	-	62,544
ვალდებულებები			
ბანკების დეპოზიტები და ბალანსები			
- ევროში	519,787	-	519,787
- აშშ დოლარში	1,318,480	-	1,318,480
სესხები			
- აშშ დოლარში	13,409,444	-	13,409,444
მოგება (ზარალი)			
საპროცენტო ხარჯი	260,170	-	260,170
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	5,696	5,696

დაუფარავი ნაშთები და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების მოგებისა ან ზარალის თანხა 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შემდეგია:

ლარი	ბანკი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	
აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	
- თურქულ ლირაში	48,230
ვალდებულებები	
ბანკების დეპოზიტები და ბალანსები	
- ევროში	139,202
- აშშ დოლარში	218,544
სესხები	
- თურქულ ლირაში	693,525
მოგება (ზარალი)	
საპროცენტო ხარჯი	1,194

სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების ნაშთების უმეტესი ნაწილის დაფარვა მოხდება 1 წლის განმავლობაში, გარდა ბანკისგან აღებული სესხისთვის 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (იხ. შენიშვნა 12). სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები არ არის უზრუნველყოფილი.

17 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულება და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასების მიზანია ყველაზე ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, რეალური ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით უდრის საბალანსო ღირებულებას. რეალური ღირებულების განსაზღვრის პრინციპები წარმოდგენილია შენიშვნაში 3c(v).

ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების შეფასებული რეალური ღირებულება გამოთვლილია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის მეთოდის გამოყენებით, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მოძრაობისა და მსგავსი ინსტრუმენტებისთვის დისკონტის განაკვეთის საფუძველზე.

ფილიალი ფართოდ იყენებს შეფასების აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, როგორცაა საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო ოპერაციები, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს. თვალსაჩინო ფასები და რესურსები ხელმისაწვდომია ბაზარზე ფასიანი ქაღალდებისთვის, საბირჟო და უბრალო დერივატივებისთვის, როგორცაა საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო ოპერაციები.

ხელმძღვანელობა იყენებს შემდეგ დაშვებებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისას:

- 11,4-დან 16,5%-მდე დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება ბანკებზე და კლიენტებზე გაცემული სესხებისგან მიღებული მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებისთვის;
- 3,9%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება ვალდებულებებისგან მიღებული მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებისთვის;

(b) რეალური ღირებულების იერარქია

ფილიალი ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რაც ასახავს გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას შეფასების გაკეთებისას:

დონე 1: კვოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

დონე 2: მონაცემები, გარდა იმისა, რომელიც პირველ დონეშია შედის და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელიც შეფასებულია: აქტიურ ბაზრებზე კვოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კვოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი თვალსაჩინოა პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლის შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კვოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.